საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორები: ს. გ.; ი. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 20.09.2022

საჩივრის რეგისტრაციის № 079/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ზ. პ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ზ. პ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორთა პოზიცია:**

1.1 2022 წლის 20 სექტემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს ს. გ.-მ, ი. მ.-მ და მოითხოვეს ადვოკატ ზ. პ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის ს. გ.-ის განმარტებით, ადვოკატი ზ. პ. არის ნ. კ.-ის დამცველი სამოქალაქო საქმეში, რომელშიც თავად ს. გ. ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მან ნ. კ.-სგან აიღო 36.700 ლარი, რის სანაცვლოდაც მოთხოვნის უზრუნველყოფის- გირაოს საშუალებით ნ. კ.-ს გადასცა ბინა, რომელიც მდებარეობს ქ. ---, ქუჩა N---, ბინა N---.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მასსა და ნ. კ.-ს შორის მიმდინარე სასამართლო დავა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მისი გამარჯვებით დასრულდა და სასამართლოს

გადაწყვეტილებით, თანხის დაბრუნების სანაცვლოდ, მან სააღსრულებო ფურცელი მიიღო ბინიდან ნ. კ.-ის გამოსახლების შესახებ.

1.4 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატი ზ. პ. ყველანაირად ცდილობს არ დაცალოს მისი საცხოვრებელი ბინა, რომელიც ი. მ.- ს სახელზეა რეგისტრირებული. აღნიშნულ ბინას უკანონოდ აქირავებენ ზ. პ. და ნ. კ.

1.5 ს. გ.-ის განცხადებით, აღსრულების ეროვნული ბიუროს უფროსი ბ. პ. ადვოკატ ზ. პ.-ის ბიძაშვილია და იგი საჩივრის ავტორის მიერ მიტანილ სააღსრულებო ფურცელს არ აღასრულებს, რადგან ზ. პ.-ს ინტერესებიდან გამომდინარე.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ზ. პ. მას ხელით შეეხო სსიპ „ი. ს."-ში, „ი. ს."-ის ორ თანამშრომელთან ერთად. აღნიშნული შემთხვევა მოხდა ქ. ---, 2022 წლის 16 მაისს.

1.7 საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატი ზ. პ. ადვოკატის სახელს არცხვენს და ითხოვს მის დისციპლინირებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ზ. პ.-მ 2022 წლის 21 სექტემბერს ეთიკის კომისიაში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ საჩივრის ავტორი ს. გ. აღნიშნულ სამოქალაქო დავაში იყო მოწინააღმდეგე მხარე, რომელმაც დავა წააგო.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ს. გ.-ს სურდა მისი კლიენტის გამოსახლება ბინიდან - თანხის გადახდის გარეშე, რასაც მან, როგორც კლიენტის ინტერესების წარმომადგენელმა, ხელი შეუშალა.

2.3 ადვოკატის პოზიციით, მისი საადვოკატო საქმიანობის შედეგად მოწინააღმდეგე მხარე გაბრაზებულია და ამ გარემოებამ განაპირობა ეთიკის კომისიაში უსაფუძვლო საჩივრით მომართვა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ზ. პ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 ს. გ.-მ და ი. მ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს 2022 წლის 20 სექტემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2022 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ზ. პ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და

დისციპლინური წამროების შესახებ დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორების პრეტენზია ადვოკატ ზ. პ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ზ. პ.-მ საჩივრის ავტორს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა - სს „ი. ს.“-ში ხელით შეეხო.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ზ. პ.-ის მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილი: ,,ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას“.

5.3 კომისიის შეფასებით, კლიენტის ინტერესის წარმოდგენისას ადვოკატმა არ უნდა გამოიჩინოს უპატივცემულობა პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარისადმი. ამ ნორმის მიზანია მართლმსაჯულების პროცესისადმი ხელშეწყობა და ადვოკატის პროფესიის რეპუტაციის ზრდა. ვიწრო განმარტებით აღნიშნული ეხება პროცესის მხარეებს, მოწმეებს, თარჯიმნებს, სპეციალისტებს და ა.შ. ასევე, პროცესზე დამსწრე პირებს. მოწინააღმდეგე მხარის პატივისცემის ვალდებულება მოიცავს მისთვის შეურაცხყოფის მიყენების დაუშვებლობას, მისი საპროცესო უფლებების დარღვევის აკრძალვას, მისდამი მუქარის დაუშვებლობას.

5.4 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები, განაცხადონ აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით, მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე“, ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები“. საქმისწარმოების საპროცესო ეტაპზე, ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე.

5.5 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობა წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას, ხოლო სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერად, სხვისთვის ზიანის მიყენების გარეშე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი). საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №ას-1338-1376-2014), რომ „ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრიციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ურთიერთობის სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათავისებას, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას კონკრეტული

პირდაპირი ვალდებულება არ ეკისრება.“ შესაბამისად, ადვოკატ ზ. პ.-ის მიერ ს. გ.-სთვის სავარაუდო ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტის მტკიცების ტვირთი აკისრია საჩივრის ავტორს, ს. გ.-ს.

5.6 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულ მხარეს ეკისრება იმ გარემოებების მტკიცების ვალდებულება, რომლებზეც ის ამყარებს საკუთარ პოზიციასა და მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორს ეკისრებოდა პოზიტიური ვალდებულება, ეთიკის კომისიისათვის წარმოედგინა საკუთარი პოზიციის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები.

5.7 წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ ადვოკატი ზ. პ. სსიპ „ი. ს.“-ში იმყოფებოდა პროფესიული საქმიანობის განხორციელების მიზნით - ის წარმოადგენდა კლიენტის, ნ. კ.-ის ინტერესებს. საჩივრის ავტორს საპროცესო კოლეგიისათვის არ წარმოუდგენია თავისი პრეტენზიის დამადასტურებელი მტკიცებულება, მათ შორის - მოწმის განმარტება; კომპეტენტური ორგანოებისათვის მიმართვის დამადასტურებელი დოკუმენტი. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით ადვოკატ ზ. პ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან წარმოდგენილი საქმის მასალებით არ დასტურდება ადვოკატის მიერ არაეთიკური ქცევის განხორციელება.

5.8 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №079/22 ადვოკატ ზ. პ.-ის /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/